

საიდ. №73242/03

IR 1166669

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №155-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ლ. ახოზაძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ბაიერიშერ ბრაუერბუნდ ე.ვ.“ (Bayerischer Brauerbund e.V.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №155-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 ივნისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1654/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „BAVARIAN BEER“ (საიდ. №73242/03, IR 1166669) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (32-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 ივნისის №1654/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს "BAVARIAN BEER" არ აქვს განმასხვავებლობა განცხადებული საქონლის მიმართ, ვინაიდან შედგება მხოლოდ სიტყვებისაგან "BAVARIAN", რომელიც მიუთითებს საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე და "BEER", რომელიც აღწერს იმ საქონელს, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, მიუთითებს საქონლის სახეობაზე, რაც "სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "გ" და "დ" ქვეპუნქტების თანახმად წარმოადგენს ნიშნის დაცვაზე უარის თქმის საფუძვლებს. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გაუგებარია, ასევე, რომელი ნიშნის სახეობისთვის მოითხოვება მისთვის დაცვის მინიჭება - კოლექტიური, სასერტიფიკაციო თუ საგარანტიო. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის „ბაიერიშერ ბრაუერბუნდ ე.ვ.“ წარმომადგენელი, გიორგი გრძელიშვილი არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „BAVARIAN BEER“ (საიდ. №73242/03, IR 1166669) წარმოადგენს კოლექტიურ ნიშანს და ეს გარემოება აღნიშნულია საერთაშორისო

განაცხადში. გარდა ამისა, კომპანიის დასახელებაში არსებული აბრევიატურა „e.V.“ იკითხება, როგორც „eingetragener Verein“, რომელიც ითარგმნება, როგორც – „რეგისტრირებული გაერთიანება“ (საზოგადოება). აპელანტის პოზიციით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ “ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის “დ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვებიდან გამონაკლისის სახით კოლექტიურ ნიშნად დასაშვებია ისეთი სიმბოლოს რეგისტრაცია, რომელიც წარმოადგენს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნას (ადგილის, რაიონის, რეგიონის, ქვეყნის სახელი სხვანაირი აღნიშვნა, რომელიც მიუთითებს საქონლის საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე)”. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ “საქპატენტში” რეგისტრირებული იყო და 10 წლის განმავლობაში მოქმედებდა სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი „SAPORO ORIGINAL DRAFT BEER” (მოწ. N5687; კლასი 32 - ლუდი), რეგისტრირებულია და დღემდე ძალაშია სასაქონლო ნიშანი „iBEER” (მოწ. №24397; კლასი 32-ლუდი; უალკოჰოლო სასმელები, მათ შორის მინერალური და გაზიანი წყლები; ხილის წვენები და სასმელები; ვაჭინები და სასმელების დასამზადებელი სხვა შედგენილობები და სხვა). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 ივნისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1654/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „BAVARIAN BEER” (საიდ. №73242/03, IR 1166669) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის საქმის ზეპირ მოსმენაზე აპელანტს საოქმოდ დაევალა კოლექტიურ სასაქონლო ნიშანზე წესდების წარმოდგენა, რომელიც

აპელანტმა სააპელაციო პალატის კოლეგიას წამროუდგინა 2015 წლის 06 იანვრის №ა-02 წერილით.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“. ამავე კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

კოლეგია იზიარებს აპელანტის მიერ წარმოდგენილ პოზიციას და მიიჩნია, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი, ამავე კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით უშვებს გამონაკლისს კოლექტიურ სასაქონლო ნიშანზე. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, „ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვებიდან გამონაკლისის სახით კოლექტიურ ნიშნად დასაშვებია ისეთი სიმბოლოს რეგისტრაცია, რომელიც წარმოადგენს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნას (ადგილის, რაიონის, რეგიონის, ქვეყნის სახელი ან სხვაგვარი აღნიშვნა, რომელიც მიუთითებს საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე). საგანაცხადო მასალებიდან და აპელანტის მიერ წარმოდგენილი წესდებიდან ირკვევა, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „BAVARIAN BEER“

(საიდ. №73242/03, IR 1166669) წარმოადგენს კოლექტიურ სასაქონლო ნიშანს, რომლის მფლობელსაც წარმოადგენს ბავარიის ლუდის მწარმოებელთა ფედერაცია, რეგისტრირებული გაერთიანება. რაც შეეხება, ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმას, მისი არაგანმასხვავებელუნარიანობის საფუძველზე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ლუდისთვის გეოგრაფიულ აღნიშვნად დაცულია „Bayerisches Bier“ (ბაიერიშეს ბიერ), შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული ნიშანი არ შეიძლება იყოს არაგანმასხვავებელუნარიანი განცხადებული საქონლის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „BAVARIAN BEER“ (საიდ. №73242/03, IR 1166669) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ბაიერიშერ ბრაუერბუნდ ე.ვ.“ (Bayerischer Brauerbund e.V.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და

გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 ივნისის №1654/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „BAVARIAN BEER“ (საიდ. №73242/03, IR 1166669) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

ლ. ახოზაძე

დ. ჭიჭინაძე